GREEN CLIMATE FUND

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის საინფორმაციო

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და მონაცემების ცენტრი

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

შვედეთი
Sverige

UNDP

კლიმატის ელჩები „SAFE LAND“

ახალგაზრდა „კლიმატის ელჩების“ ჯგუფი „Safe Land“ მწვანე ბანაკში შეიქმნა, რომელიც აერთიანებს ახალგაზრდებს გორის, დუშეთის და ხაშურის მუნიციპალიტეტებიდან. ჩვენი ჯგუფის იდეაა მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირებაზე და კატასტროფის დროს ქცევის წესებზე.

პროექტის ფარგლებში დავგეგმეთ შემდეგი აქტივობები:

- ტრენინგები - კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება და კატასტროფის დროს ქცევის წესები;
- ონლაინ ესეების კონკურსი კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ კატასტროფებზე;
- საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელება შესაბამის მუნიციპალიტეტებში;
- ცოცხალი თეატრი, ანუ სიმულაცია, როგორ მოვიქცეთ კატასტროფის დროს.

პროექტის შედეგები:

პროექტის დასრულების შემდეგ გორის, დუშეთის და ხაშურის მუნიციპალიტეტების ახალგაზრდები უფრო დაცული იქნებიან კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფებისგან.

განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციას ჩვენი ჯგუფის facebook გვერდზე გაეცნობით.